განკარგულება:**g-47.47203321**
თარიღი:**27/11/2020**

განკარგულება N49

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩოხატაური-ბახმაროს შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-4 კმ-დან (პკ. 4+200) მე-6 კმ-ის ჩათვლით (პკ. 6+100) არსებული ჩიხებით ანა კალანდაძის სახელის მინიჭების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების თანახმად,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩოხატაური-ბახმაროს შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-4 კმ-დან (პკ. 4+200) მე-6 კმ-ის ჩათვლით (პკ. 6+100) არსებული ჩიხებით მიენიჭოს ანა კალანდაძის სახელი თანდართული რუკის თანახმად;

მუხლი 2.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3.

განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

მუხლი 4 .

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი